

"ახალგაზრდების როლი ადამიანის უფლებათა განათლებაში"

2009 წლის 3-10 ივნისს მაკა ცერცვაძე, ახალგაზრდა იურისტთა ქუთაისის ოფისის თანამშრომელი, ადს საქართველოს ხელშეწყობით იმყოფებოდა აზერბაიჯანში, ქ. ბაქოში, საერთაშორისო ტრენინგზე სახელწოდებით: "ახალგაზრდების როლი ადამიანის უფლებათა განათლებაში".

ტრენინგი ორგანიზებული იყო ევროსაბჭოს ახალგაზრდობისა და სპორტის, ახალგაზრდული ფონდის დირექციისა და აზერბაიჯანის ადგილობრივი ორგანიზაციის "ცვლილებებისაკენ მიმართული ფონდი" - მიერ, რომლის ხელმძღვანელია ბატონი მაჰირ მამადოვი.



ტრენინგ-სემინარის მთავარი მიზანი იყო:

- ახალგაზრდა ტრენერების ცოდნისა და კომპეტენციის გაღრმავება ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე;
- ახალგაზრდობისათვის ისეთი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, რაც მათ დაეხმარება იმუშაონ ტრენერებად და კოორდინატორებად ამ სფეროში;
- ერთმანეთისადმი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, თუ როგორ მოახდინონ ადამიანის უფლებების პოპულარიზაცია თავიანთ ქვეყნებში;
- ადამიანის უფლებების როგორც პრაქტიკული ასევე თეორიული ცოდნის გაზრდა.

საერთაშორისო ტრენინგში მონაწილეობდნენ ახალგაზრდა ლიდერები, ტრენერები, პროექტის ორგანიზატორები შემდეგი ქვეყნებიდან: აზერბაიჯანი, თურქეთი, უკრაინა, მოლდოვა, პოლონეთი, ლიტვა, იტალია, რუმინეთი, ბელგია, საბერძნეთი, ნიდერლანდები, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ალბანეთი და საქართველო.

ტრენინგს უძღვებოდა გუნელ ჯაფაროვა - ამერიკელ ადვოკატთა ასოციაციიდან. ტრენინგის მსვლელობის დროს არაერთ სტუმარს "სმასპინძლობდით", მათ შორის იყო ცნობილი ექსპერტი ადამიანის უფლებების დარგში ბ-ნი ერკინ ქადირლი.

ტრენინგის მსვლელობას მრავალფეროვანს ხდიდა არაფორმალური მეთოდების გამოყენება: ე.წ. "ენერჯაიზერები", ინტერაქტიული სავარჯიშოები, პრეზენტაციები, ჯგუფური მუშაობა და თამაშები.

რაც შეეხება პროექტის ორგანიზატორულ მხარეს, იყო მაღალორგანიზებული, საერთაშორისო დონის ტრენინგი. მასში მონაწილეობით მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები აუცილებლად დამეხმარება მომავალ საქმიანობაში, განვახორციელო ახალი იდეები და აქტიური მონაწილეობა მივიღო ახალი პროექტების ორგანიზებაში.

